

გიორგი დგებუაძე

კაზუსი:

ა-ს, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთ სადისტრიბუციო ფირმაში, დაძაბული სამსახურეობრივი ურთიერთობა პქონდა მის უფროსთან, ფირმის დირექტორთან, ბ-სთან. ერთ-ერთი შელაპარაკების დროს ა-ს „ყელში ამოუვიდა” უფროსის სისტემატური „უაზრო” დარიგება და გადაწყვიტა მისი მოკვლა. ა. ჩაუსაფრდა ბ-ს ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე და ელოდებოდა მის გამოსვლას. სადისტრიბუციო ფირმის შენობიდან ბ-ს ნაცვლად შემთხვევით გამოვიდა გ., რომელიც ა-მ ძლიერი სიბნელის გამო ვერ შენიშნა, ეგონა ბ. და მოახდინა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა. ა-ს ქმედებას შედეგად მოჰყვა გ-ს სიკვდილი.

დაისჯება თუ არა ა. გ-ს მკვლელობისთვის?

ამონენა:

პიპოთება: შესაძლებელია, ა. ცეცხლსასროლი იარაღით გ-ს მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მკვლელობისთვის დაეკისროს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ქმედების სუბიექტი: ა.
- ქმედების ობიექტი: გ-ს სიცოცხლე.

- ქმედება: ა-ს მიერ ჩადენილ იქნა ქმედება, გამოხატული მოქმედებაში. მოქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არის ადამიანის ნებისაგან მომდინარე და მისი ნების ბატონობის ქვეშ მოქცეული ან მოქცევადი სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა. ადამიანის მიმართულებით გასროლა წარმოადგენს აქტიურ მოქმედებას, რომელიც ა-ს ნების ბატონობის ქვეშ იყო. მაშასადამე,

ამ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული მოქმედება სახეზეა.

- შედეგი: აუცილებელია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომა. აღნიშნული მკვლელობის ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი არის სხვა ადამიანის სიკვდილი. გ. მართლაც მოკვდა. ამით, ამ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.
- მიზეზობრივი კავშირი: დასადგენია, ა-ს მოქმედება იყო თუ არა გ-ს სიკვდილის გამომწვევი. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს ცონდიტოსინგ-ჯუ-ნონ ფორმულით: მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა – რომ არა ა-ს მოქმედება, იარაღიდან გასროლა, შედეგი, გ-ს სიკვდილი, არ დადგებოდა. მაშასადამე, ა-ს მოქმედებასა და გ-ს სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს.
- ობიექტური შერაცხვა: ამ ეტაპზე დასადგენია, შეერაცხება თუ არა ა-ს დამდგარი შედეგი – გ-ს სიკვდილი ობიექტურად. ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ მოქმედებით შექმნა ან აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზირებული. ა-ს დამდგარი შედეგი ობიექტურად შეერაცხება, ვინაიდან მან შექმნა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც გ-ს სიკვდილში იქნა რეალიზებული.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, როგორც მოგვეხსენება, ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენის დასჯადობას მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. განზრახვა კი მოიცავს ქმედების ობიექტური

შემადგენლობის განხორციელების ცოდნასა და ნებელობას. აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭალდებულო განხორციელებული ქმედება კავშირში იყოს მსხვერპლის (გ-ს) საქმიანობასთან. მოცემულ შემთხვევაში, სიტუაცია განსხვავებულია. ამსრულებელს ჰგონია, რომ კლავს პირს მსხვერპლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (ბ. იყო სადისტრიბუციო ფირმის დირექტორი), მაგრამ რეალურად სახეზეა სხვა პირის სიკვდილი (გ-ს). ა-მ დაუშვა შეცდომა პიროვნებაში (ეროვნული ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობა).

- შეცდომა პიროვნებაში (ეროვნული ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობა) შეცდომის ერთ-ერთი სახეა. გაბატონებული შეხედულებით, განზრახვა აღარ წარმოადგენს ბრალის ფორმას. იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია. ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს ვიხილავთ განზრახვის მხოლოდ ორ კომპონენტს, ფაქტობრივი გარემოებების ცოდნასა და ნებელობას (ბუნებრივ განზრახვას), ხოლო მესამე კომპონენტს, მართლწინააღმდეგობის შეგნებას ვიხილავთ ბრალის ეტაპზე, სადაც არაბოროტი განზრახვა უკვე ბოროტ განზრახვად (დოლუს მალუს) გადაიქცევა. „შეცდომა პიროვნებაში” შემთხვევაც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე უნდა განვიხილოთ.

„შეცდომა პიროვნებაში” (ეროვნული ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობა) შემთხვევა კვალიფიკაციისათვის სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია და ზეგავლენას არ ახდენს მასზე, რადგან საქმე გვაქვს თანაბარ სამართლებრივ სიკეთეებთან და საკითხებით თანაბარლირებულების თეორიით უნდა გადაწყდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე და ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის ხელყოფაც იყო განზრახული, თანაბარი სამართლებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივ სიკეთეებს უნდა წარმოადგენდეს.

- ჩვენს შემთხვევაშიც, პიროვნებაში შეცდომა კვალიფიკირებული განვითარებისას ვერ მოახდენს, რადგან ბ-ს და გ-ს სიცოცხლეს სისხლის სამართალი თანაბრად იცავს. ა-ს გ-ს სიკვდილი უნდა შეერაცხოს სუბიექტურად, რადგან მისი ქმედება სიცოცხლის წინააღმდეგ იყო მიმართული. კონკრეტულ მაგალითში, არ არის

საგადადებულო სამართლებრივად დაცული სიკეთის ყველა დეტალის ცოდნა. საკმარისია, გვარეობითი ნიშნების შეცნობა.

- შესაბამისად, პიროვნებაში შეცდომის არსებობის მიუხედავად, განზრახვის პირველი ორი კომპონენტი, ცოდნა და ნებელობა, სახეზეა. ა-ს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კლავდა ადამიანს და სურდა ეს შედეგი.

II. მართლწინააღმდეგობა

მოცემულ შემთხვევაში ა-ს ქმედებაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების არსებობა. შესაბამისად, მისი ქმედება უნდა მივიჩნიოთ მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ჩვენს შემთხვევაში, ა-ს მიმართ არ იკვეთება ისეთი ნიშანი, რომელიც მას ბრალუნაროს გახდიდა. შესაბამისად იგი ბრალუნარიანია. განზრახვის მესამე კომპონენტიც, მართლწინააღმდეგობის შეგნებაც, როგორც განზრახვის მესამე კომპონენტი, სახეზეა, ვინაიდან ა-ს ქმედება მოიხატება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნაში. ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების შემოწმების არავითარი საფუძველი კაზუსის მიხედვით არ არსებობს.

დასკვნა

მაშასადამე, ა-ს ცეცხლსასროლი იარაღით გ-ს მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მკვლელობისთვის დაეკისრება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.